



უცხოური სამართლის ინტერპრეტაცია საერთაშორისო კერძო სამართალში

თამარ მსხვილიძე

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

შესავალი და მიზანი: თანამედროვე პირობებში ღია სამოგადღობად ჩამოყალიბებამ მკვეთრად გაზარდა უცხოური ელემენტის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების რიცხვი. საერთაშორისო კერძო სამართალი რთულ, სპეციფიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლის დროსაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები უპირისპირდებიან ერთმანეთს. უცხოური სამართლის დადგენას პრაქტიკული სიძნელეები ახლავს, რადგან მოსამართლემ უნდა გამოიყენოს არა უბრალოდ უცხოური კანონები, არამედ გაითვალისწინოს სასამართლო პრაქტიკა და ინტერპრეტაცია, რომლითაც ის გამოიყენება უცხო ქვეყანაში.

უცხოური სამართლის არსის დადგენის წესი არსებითად განსხვავდება იმისგან, თუ როგორ ადგენს სასამართლო თავის ეროვნულ სამართალს, რომელთან მიმართებით მოქმედებს პრინციპი: სასამართლომ იცის კანონი - iura novit curia. რაც შეეხება უცხოურ ნორმას, მოსამართლეს არ შეუძლია და არც მოეთხოვება მისი ცოდნა იმ დონეზე, რომ გადანწყვიტოს დაგა.

მეთოდოლოგია: შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდება სფეროს წამყვანი ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და თეორიული კონცეფციები.

სიახლე/ღირებულება: ქართულ სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო ხშირდება ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომელიც მხოლოდ ქართული სამართლით აღარ რეგულირდება, იკვეთება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა და კანონებთან კონტაქტის დამყარების შემთხვევები. შესაბამისად, აქტიურდება საკითხი, როგორ მოწესრიგდეს ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ფონზე ეფექტიანად უპასუხებს ქართველ და უცხოელ სუბიექტთა მოთხოვნებს. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მასში განხილული საკითხები ჯერ არ გამხდარა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი.

დასკვნა: საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი მიზანი ეფექტურად განხორციელება, თუ გამოსაყენებელი უცხოური სამართალი ადეკვატურად დამტკიცდება. უცხო სამართლის სწორი და ეფექტური განსაზღვრება განიხილება კოლიზიური ნორმის გამოყენების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად.